

მანანა ბუკია

## ცხენის სქესისა და ასაკობრივი დიფერენციაციის აღმნიშვნელი ლექსემები მეგრულში

კოლხური ენის მეგრულ დიალექტში საკმაოდ მრავალფეროვან სემანტიკურ ჯგუფს ქმნის ცხენის სქესისა და ასაკობრივი დიფერენციაციის აღმნიშვნელი ლექსემები.

ცხენის ნაშიერის სახელი რამდენიმე ლექსემით აღინიშნება: ქვირა, კვიცი, ფაშატი, ომარკინდაში, ონჭყაში.

**ქვირა** – жеребенок (ი. ყიფშიძე, 1914, 372); ერთი წლის მამალი ცხენი (ი. ჯავახიშვილი, 1986, 224); ფაშატი, ცხენის შვილი, კვიცი (პ. ჭარაია, 1997, 141) – დიდა დო მუმაში გინულირი **ქვირა** ნგერქე ოჭკომუა „დედ-მამის ნებას გადასული ფაშატი მგელმა შეჭამაო“ (რ. შეროზია, ო. მემიშიში, 1994, 37); ქიმეჩითე საქვირო ცხენი, ეგებ სოთინი ქიმკიიქოსასგნი“ (ი. ყიფშიძე, 1914, 94) „მიეცით „საფაშატო“ ცხენი, იქნებ სადმე დაიკარგოსო“. აქ დანიშნულების **სა – ო** კონფიქსით ნაწარმოებ „საქვირო“-ში ასაკმცირე, გაუხედნავი ცხენი იგულისხმება.

ამ ლექსემას მ. ხუბუა სპარსულიდან ნასესხებად მიიჩნევს (მ. ხუბუა, 1945, 729). საგულისხმოა, რომ იგი არ ჩანს არც ძველ ქართულში, არც ქართული ენის დიალექტებში, მხოლოდ მოხეურმა და თუშურმა შემოინახა „ქუირა-ი“ (ი. ქავთარაძე, 1985, 345) და „ქვიროდ“ (პ. ხუბუტია, 1969, 159) ფორმით, ნიშნავს კვიცს.

**კვიცი** – ორი წლის მამალი ცხენი (ი. ჯავახიშვილი, 1986, 224); ცხენის შვილი, მამალი (პ. ჭარაია, 1997, 79): რაშის ვასქუ **კვიცი**ში ფოლო „რაშ არ შვენის კვიცის ფლოქვი“ (კ. სამუშია, 1971, 99).

ეს ლექსემა ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. ძველ ქართულში დაცულია კიცვ (ს. ორბელიანი 1991, 376; ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 250) სახით, დასტურდება სვანურშიც ოდნავი ფონეტიკური ცვლილებებით, ოღონდ სემანტიკა გადაწეულია – „**კვიცრა**“ ნიშნავს დედალ ჯიხვს (ი. ქერქაძე 1974, 65; ა. ლიპარტელიანი, 1994, 162).

**ფაშატი** – молодая кобыла, жеребенок вообще (ი. ყიფშიძე, 1914, 372); კვიცი (პ. ჭარაია, 1997, 134); ცხენის ნაშიერი სამ წლამდე (წალენჯ., მარტვ., ჩხორ. სენაკი): ანწი შეგილებუნია დოთხილუევე ათე საგანიში იმენდითია ეთი ფაშატი „აწი შეგიძლიაო, მომწყემსო ამ ისრის იმედით ის ფაშატი“ (კ. დანელია, 1991, 166).

ლექსემა დასტურდება ძველ ქართულში. საბას განმარტებით, ის ჭაკი კვიცია (ს. ორბელიანი, 1993, 186). იმავეს იმეორებს ნ. ჩუბინაშვილი (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 393), ლეონიძის მითითებით

კი დედალი ცხენია (ლ. ლეონიძე, 1925, 73).

იგივე ლექსებს უმლაუტიზირებელი ხმოვნით გვხვდება სვანურშიც: **ფაშატ** – ცხენი ერთი წლის შემდეგ (ი. ჯავახიშვილი, 1986, 205).

ლაზურში ცხენის ნაშიერის აღსანიშნავად გამოიყენება სინტაგმა **ცხენიმ მოთალი || ცხენიმ მონთა || ცხენიმ მოთა** (ნ. მარი, 1910, 168), **მოთა** შვილიშვილს ნიშნავს. ცხენის ნაშიერია აგრეთვე თურქულიდან ნასესხები „თაი“ (ი. ყიფშიძე, 1911, 26), **თარი** (ს. ჟღენტა, 1938, 186), **თაი || თაფ** (ს. ჯიქია, 1975, 67); **კულუნი** – (ნ. მარი, 1910, 159).

სქესის გარჩევა ლექსიკურად ადრეულ ასაკშივე ხდება, ამიტომ თემატურად ცალ-ცალკე მდგომი ეს ლექსემები კომპლექსში უნდა განვიხილოთ.

„ცხენს სქეს-წლოვანების მიხედვით ვუწოდებდით: მამალს ერთი წლისას – **ფაშატს**, ორი წლისას – **ომარკინდაშს**, სამი წლისას – **ონჭყაშს**, ოთხი წლისას – **ვარყას**, დედალს ერთი წლიდან ოთხი წლის ჩათვლით – **ფაშატს**“ (ი. ჯავახიშვილი, 1986, 224).

სხვა ინფორმატორის მიხედვით „დედალს ერთი წლისას ეწოდება **ფაშატი**, ორი წლისას – **ფაშატი**, სამი წლისას – **ჭაკი**, ოთხი წლისას – **ჭაკი ცხენი**; მამალს ერთი წლისას – **ქვირა**, ორი წლისას – **კვიცი**, სამი წლისას – **ვაყა**, ოთხი წლისას დ ზევით – **ულაყი**“ (იქვე, 224).

**ომარკინდაში** დანიშნულების ო- პრეფისით ნაწარმოები ნნათესაობითარი ლექსემაა. ანალოგიურია ძველ ქართულში დაცული **მაკინტლოზისა** (ს. ორბელიანი, 1991, 430 – „ზროხათა და ყურდგელთა მძუვნობა“).

ამ ტერმინზე ვრცლად მსჯელობს ივ. ჯავახიშვილი ქართული წარმართული ღვთაებების კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომში (ი. ჯავახიშვილი, 1950, 205-207). მეცნიერის მიერ მოხმობილი საანალიზო ფორმები და მათი გავრცელების არეალი (ყველა ლექსემა გავრცელებულია კოლხურსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში), აგრეთვე შესადარებელ ფუძეთა ფონეტიკური შედგენილობა გვავარაუდებინებს, რომ ამოსავალი სწორედ მეგრული (resp.) კოლხური) ფორმა უნდა იყოს.

აქედან არის მიღებული დიალექტური **სამაკინარი** – ზრდადამთავრებული მდედრი საქონელი, რომელიც შეიძლება დამაკდეს (ბ. ფოჩხუა, 1987, 211), ქართლური **გასამაკინარი**, **სამაკინარი**, **სამაკინებელი** – დეკეული, რომელსაც „მაკულობის“ („დამაკების“) დრო მოუვიდა (თ. სალარიძე, 1986, 39), აჭარული **სამაკინარე ერინჯი** – დასამაკებელი დეკეული (ნ. სურმავა, 1983, 8). სინტაგმას აშკარა ზანიზმის კვალი ეტყობა.

მეგრული **ომარკინდაში** აღნიშნავს მამრობითი სქესის ცხენს,

რომელსაც მდედრის განაყოფიერება შეუძლია.

**ონკყაში**-ც ისევეა ნაწარმოები როგორც „ომარკინდაში“, მიღებულია **ნკყალა** || **ნკყალა** || **კყალა** ფუმიდან, ნიშნავს გახედნას (ჯვ., წალენჯ., ჩხორ.). იგივე ფუძე გვაქვს სვანურშიც: **ლგნჟყ ჩაჟ** – გახედნილი ცხენი (ი. ჯავახიშვილი, 1986, 205).

**ონკყაში** ამ შემთხვევაში გასახედნად ვარგისი (ასაკობრივი თვალსაზრისით) ცხენია.

**ვარყა** || **ვაყა** – жеребенок (ი. ყიფშიძე, 1914, 234); ულაყი, მამალი ცხენი (პ. ჭარაია, 1997, 66); ოთხი წლის მამალი ცხენი (ი. ჯავახიშვილი, 1986, 224); დაუკოდავი ცხენი (ჯვ., წალენჯ., ჩხორ.): ბულათიაში სქვაში **ვარყა** პატენსქუას ქემუყუნუ „ბულათიას ლამაზი ულაყი ბატონიშვილს მიუყვანა“ (ვ. სამუშია, 1971, 67).

ი. ყიფშიძე პარალელურად მიუთითებს **ვაყა** ფორმას და აღნიშნავს, რომ ქართული ლექსემაა (ი. ყიფშიძე, 1914, 372). იგულისხმება იმერული (**ვაყა** – ბერიძე, 1912, 25), აჭარულ (**ვაყა** – ი. ჯავახიშვილი, 1986, 231), რაჭულ (**ვარყა** || **ვაყა** ა. კობერიძე, 1987, 48) დიალექტებში დაცული ფორმები.

**ვაყა** ფორმას ნ. მარიც მიუთითებს ლაზურის ლექსიკონში, მაგრამ იქ დაკოდირ ცხენს აღნიშნავს (ნ. მარი, 1910, 143), ხოლო ულაყი გადმოცემულია **ყვაჯი** || **ყვაჯონი** (ნ. მარი, იქვე, 203; ი. ჯავახიშვილი, 1950, 207) ლექსემით, აგრეთვე თურქულიდან ნასესხები **აგგირი** || **აფგირი** (ნ. მარი, იქვე, 125) ფორმით.

**ჭაკი** – животное женского пола (ი. ყიფშიძე, 1914, 385); кобыла (იქვე, 372); ცხენი (პ. ჭარაია, 1997, 169); (ი. ჯავახიშვილი, 1986, 224).

**ჭაკიმ** კვარტი კვიცის ვეწყინებუნია „ჭაკის წიხლი კვიცს არ ეწყინებო“ (რ. შეროზია, ო. მემიშიში, 1994, 175).

იგივე ლექსემა გამჟღერებული თანხმოვნითა და უმლაუტიზირებული ა ხმოვნით გვაქვს სვანურში: **ჭაგ** – დედალი ცხენი (ა. ლიპარტიანი, 1994, 334).

ლაზურში დედალი ცხენი აღნიშნება თურქულიდან ნასესხები „კისრალი“ ლექსემით (ნ. მარი, 1910, 156).

უნდა აღინიშნოს, რომ **ჭაკი** უმეტესწილად სქესის აღმნიშვნელ ატრიბუტივად გამოიყენება **ცხენ**- სიტყვასთან: **ჭაკი ცხენი** შურიში ეშალაფაშა იდიარსია „ჭაკი ცხენი სულის ამოსვლამდე ბალახობსო“ (ვ. დანელია, 1991, 457).

იმავე მოვლენასთან (სახელის გამოყენება სქესის აღმნიშვნელ მსაზღვრელად) გვაქვს საქმე შემდეგ შემთხვევაში: ოჭმარეს ადრე ედირთგნი, იქი ცხენს **კვიცი ფაშატი** ათახვილუა „დილით ადრე რომ ადგა, მას ცხენთან მოგებული კვიცი (კვიცი ფაშატი) დახვდაო“ (რ. შეროზია, ო. მემიშიში, 1994, 113), მაჟირაშა ხოლო **კვიცი ფაშატი**ქ იყუ დო მორდგ თენა ხოლო „მეორეჯერაც კვიცი

ფაშატი ეყოლა და გაზარდა ესეც (კ. დანელია, 1991, 242).

ამ ლექსებზე ზემოთ იყო საუბარი. აქ ერთი რამაა საგულისხმო ერთ წლამდე ფაშატი პროვე სქესისთვის საერთო ტერმინია (ი. ჯავახიშვილი, 1986, 224), შემდეგ ხდება დიფერენცია. ასაკში (ერთ წლამდე ცხენის ნაშიერის სქესის მისათითებლად მას ატრიბუტივად ემატება **კვიცი**. გარკვეული სქესის აღნიშვნელი ლექსემა, ე. ი. **კვიცი ფაშატი** მამრობითი სქესის ცხენის ნაშიერია ერთ წლამდე. სქესის ასეთი აღნიშვნა ბუნებრივია ქართულისათვის (ა. არაბული, 1989, 21).

ორი წლის მერე ცხენს ხედნიდნენ. ფახედნა აღნიშნება ქართულიდან შეთვისებული **ხენდუა (ხედნის** მეტათეზირებული ფორმა) ლექსემით (პ. ჭარაია, 1997, 177; გ. ელიავა, 1997, 385): დიო ჯგირო **გორხენდუნა**, ბოლოს დუცე მერქექენა „ჯერ კარგად გაგხედნიან, მერე თავს წაგაცლიან“ (ტ. გუდავა, 1975, 293).

იმავე მნიშვნელობისაა **ჰყულა || ნჰყულა || ნჰყალა** (ჯვ., წალენჯ., ჩხორ.). ლექსემა (იხ. ზემოთ); აგრეთვე **რგეშუა** (ხოზი): იმა ცხენც ვა მაჭიშე, მუდგა **რგეშილი** ორდასგნი „მას ცხენი ვერ დაეწევა, რა გინდა დაგეშილი იყოს“ (კ. სამუშია, 1971, 106).

ლექსემა მიღებულია **გეშვა** ფორმისაგან **რ** სონორის დართვით, იგულისხმება ცხენის წვრთნა, მომზადება, სწავლება.

გახედნიის აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვა **გემოწაფუა** (ზუგდ.), მიღებულია ქართული **გაწაფვა** || გამოწაფ-ვასაგან.

გაუხედნავი ცხენი **ონჭაშე**-ა (გ. ელიავა, 1997, 256), აგრეთვე **ონჰყაშე || ონჰყაში** (ჯვ., წალენჯ., ზუგდ.) მის სინონიმებად გამოიყენება **ურა** (პ. ჭარაია, 1997, 132), **ურეკი** (ი. ჯავახიშვილი, 1986, 225).

**ურა** – жеребец, невыезженная лошадь (ი. ყიფშიძე, 1914, 372): ურაქ კვარტი მემოგ დო ქედგნომიტუუ შქა წყარს „ურამ წიხლი მკრა და დამტოვა შუა წყალში“ (ტ. გუდავა, 1975, 208).

როგორც ჩანს, ადრე ამ ლექსემას ასაკობრივი დიფერენციაციის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. საბას მიხედვით **ურა** ახტა კვიცია (ს. ორბელიანი, 1993, 166). იგივეა ნ. ჩუბინაშვილთა(ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 438). მოგვიანებით მოხდა სემანტიკური გადაწევა და აღნიშნავს გაუხედნავ ცხენს (პ. ჭარაია, 1997, 132). ლ. ლეონიძის განმარტებით, **ურა** უხედნი ცხენია, რომელზედაც ჯერ არავინ მჯდარა და არც უნაგირი დაუდგამთ (ლ. ლეონიძე, 1925, 71). იმავე მნიშვნელობით გვხვდება ქართული ენის დიალექტებში: „**ურო**-ს ვეტყვით უხედნარ ცხენს“ (ი. ჯავახიშვილი, 1986, 185), „**ურა**“-ს თუ ვხედნით, მაშინ ვეძახით (იქვე, 188).

ქეგლ-ის მიხედვით ურა მამალი კვიცია (ქეგლ IV, 856). ასევე განმარტებული ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში (ზ. ფოჩხუა, 1987, 233). მეგრულში მისი მნიშვნელობა ოდნავ გადაწეულია. აფხაზური მასალა კი ზუსტად იმეორებს მეგრულ მნიშვნელობას: **აჩურა** – ურა ცხენი (ს. ჯანაშია, 1954, 269); **აურა** – გაუხედნავი ცხენი (ს. ამიჭბა, 1975, 117; ნ. არშბა, 1980, 65).

**ურა**-ს მეგრულში ისევე, როგორც ქართული ენის დიალექტებში, კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს საქონელს, რომელიც ადამიანის დანახვაზე ფრთხილად (ლ. ლეონიძე, 1925, 71), აგრეთვე განებივრებულს, თავაშვებულს (პ. გაჩეჩილაძე, 1976, 42, 131).

**ურევი**, შესაძლოა, ნაწარმოები იყოს ურა ფორმისაგან -ევ- ბოლოსართით. ეს ელემენტი ერთი ტიპის სახელებში გამოიყოფა მეგრულში (შდრ. **უკ-ევ-ი** – შეუსმენელი, თავისნათქვამა; **ხუბ-ევ-ი** – „შინაბერა; **ძუბ-ევ-ი** – ძუნწი...)

სახელების თვალსაზრისით არარ ფორმებს გვიჩვენებს ცხენის დაკოდვასთან დაკავშირებული ტერმინები.

დაკოდული ცხენი აღნიშნება ლექსემებით: **ლაფშა**, **იაბო**, **კვარილი**, **ბაჩაჩია**.

**ლაბშა** || **ლაფშა** – мериш (ი. ყიფშიძე, 1914, 269); **აბშა** „ცხენი, ლაფშა ცხენი, დაკოდული ცხენი, იაბო (გ. ელიავა, 1997, 202); **ლაფშა** კუნთხუს კვნოკვრე (ი. ყიფშიძე, 1914, 162) „ლაფშა კუთხეშია დაბმული“.

ქეგლ-ის მიხედვით **ლაფშა** კუთხურია (იმერული, გურული) და დაკოდულ ცხენს, იაბოს აღნიშნავს (ქეგლ IV, 1489). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია დამაჯერებელი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცხენის ამ სახეობის სახელებისათვის ამოსავალია **ლაფში** || **ლაფშა** || **ლაბში** || **აბში** || **აფში** – ცხენის ქვედა ტუჩი (ნ. ბაღათურია, 1996, 31).

ლექსემა გვხვდება აფხაზურ ენაში: **ალაშა** – ლაფშა (ზ. ჯანაშია, 1954, 169); **ალაშა** (ნ. არშბა, 1980, 42).

**იაბო** – დაკოდული ცხენი, ლაფშა (გ. ელიავა, 1997, 177). სპარსულიდან ნასესხები სიტყვა ფართოდ არ გვხვდება. სალექსიკონო ერთეულად აქვს შეტანილი ნ. ჩუბინაშვილს: **იაბო** – დაკოდული ცხენი (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 438). ლ. ლეონიძის განმარტებით **იაბო** დაყვერილი, დაკოდული ცხენია და მოჰყავს სინონიმები: **ლაფშა** (იმ., გურ). **ყვერული** (ძვ.), **ყვერილი** (სვ. – ლ. ლეონიძე, 1925, 28).

**ყვარილი** (გ. ელიავა, 1997, 331) || **ყვარილი** (ჯვ.) – დაკოდული ცხენი. ნაწარმოებია **ყვარუა** || **ყვარუა** ფუძისაგან. იგივე **ყვარელი** || **ყვარერი** || **ვარერი ცხენი** (ნ. მარი, 1910, 203).

როგორც ჩანს, დაკოდვის აღმნიშვნელი არაყუარა (ნ. არშბა, 1980, 26). ლექსემა აფხაზურს მეგრულიდან აქვს შეთვისებული.

**ბაჩაჩია** – დაკოდელი ცხენი (ჩხორ.). **ბაჩა** – მშვიდი, თვინიერი ცხენი (გ. ელიავა, 1997, 30); თოხარიკი, პატარა ცხენი, სახელდებისათვის ამოსავალია დაკოდელი ცხენის თვისება – სიმშვიდე, თვინიერება.

ლიტერატურა:

ს. ამიჭბა, 1975 – С. Амичба, Термины коневодства в абхазско-абазинских диалектах, იკე-ს წელიწდეული, II. თბ., 1975.

ა. არაბული, 1989 – ა. არაბული, ცხოველთა ასაკისა და სქესის ასახვა მესაქონლეობის ლექსიკაში დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1989.

ბ. არშბა, 1980 – Н. Аршба, Словарь жинководческих терминов, абхазско-русский, русско-абхазский, Сух., 1980.

ბ. ბაღათურია, 1996 – ნ. ბაღათურია, ლაფშა-ს ეტიმოლოგიისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, თბ., 1996.

ვ. ბერიძე, 1912 – ევ. ბერიძე, სიტყვის კონა რაჭულ და იმერულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი, 1912.

პ. გაჩეჩილაძე, 1976 – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

ტ. გუდავა, 1975 – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, გამოსაცემად მოამზადეს ტ. გუდავამ და ა. ცანავამ, თბ., 1975.

კ. დანელია, 1991 – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, ზღაპრები და მცირე ჟანრები, გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, თბ., 1991.

გ. ელიავა, 1997 – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი-თბილისი, 1997.

ა. კობახიძე, 1987 - ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987.

ლ. ლეონიძე, 1925 – ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

ა. ლიპარტელიანი, 1994 - ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლურული კილო, ტ. I, თბ., 1994.

ბ. მარი, 1910 – Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С-Пб, 1910.

ს. ორბელიანი, 1991-93 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II, თბ., 1991-93 წ.წ.

ს. ჟღენტი, 1938 - ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები,

არქაბული კილოკავი, თბ., 1938.

თ. სალარიძე, 1986 – თ. სალარიძე, მეცხოველეობის ლექსიკა ალგეთის ხეობის, ქართლურში, VI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1986.

კ. სამუშია, 1971 – კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ტექსტები), გამოსაცემად მოამზადა კ. სამუშიამ, თბ., 1971.

ნ. ხურმავა, 1983 – ნ. ხურმავა, სიტყვაწარმოების შესახებ აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბ., 1983.

ბ. ფოჩხუა, 1987 – ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, ნაკვეთი პირველი, თბ., 1987.

ო. ქავთარაძე, 1985 – ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1985.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვა ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964 წ.წ.

ი. ქერქაძე, 1974 – ი. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.

ი. ყიფშიძე, 1911 – ი. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке, С-Пб, 1911.

ი. ყიფშიძე, 1914 – ი. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем С.-Пб., 1914.

რ. შეროზია, თ. მემიშიში, 1994 – ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენლები რ. შეროზია და თ. მემიშიში, თბ., 1994.

ნ. ჩუბინაშვილი, 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961.

პ. ჭარაია, 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

მ. ხუბუა, 1945 – მ. ხუბუა, სპარსული წარმოშობის სიტყვები მეგრულში, სმამ, VI, #9, თბ., 1945.

მ. ხუბუტია, 1969 – პ. ხუბუტია, თუშური კილო, ლექსიკა, თბ., 1969.

ი. ჯავახიშვილი, 1950 – ი. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავსიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

ი. ჯავახიშვილი, 1986 - მასალები საქართველოს შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. IV. ნაწ. I, მესაქონლეობა,

თბ., 1986.

ბ. ჯანაშია, 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

ს. ჯიქია, 1975 – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობისათვის ლაზურში, თსუ შრომები, ენათმეცნიერება, ტ. 164, თბ., 1975.

Manana Bukia

Variety of Megrelian Lexems Denoting Sex and  
Age Differentiation in Horses  
Summary

The paper deals with terms – *kvira*, *ḡvici*, *paṣaṭi*,  
*Omarḡindaṣi*, *onḡqaṣi*, *varqa* // *vaqa*, *ḡaḡi*, *ura*, *ureḡi*, *lamṣa* // *lapṣa*,  
*Iabo*, *ḡvarili* // *qvarili*, *baḡaḡia*, denoting sex and age differentiation in  
Horses, revealing the importance of the animal in Megrelian culture.

საენათმეცნიერო ძიებანი VIII (Linguistic papers)  
გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 1999  
გვ. 254-262